საინჟინრო-გეოლოგიური სფეროს ხელსაწყოების ტერმინოლოგია: ლექსიკოგრაფიული აღწერა და გადმოცემის პრინციპები ქართულ ენაში

მარიამი კვინიკაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ლექსიკოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა

„ლექსიკოგრაფია, ტერმინოლოგია და თანამედროვე ტექნოლოგიები“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინათინ მარგალიტაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

აბსტრაქტი

ტერმინთა სისტემა ასახავს არა მხოლოდ კონკრეტული დარგის განვითარების ხარისხს, არამედ მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამეცნიერო და პროფესიული კომუნიკაციის პროცესში. თანამედროვე სამყაროში ტექნოლოგიური პროგრესის, საერთაშორისო თანამშრომლობისა და გლობალიზაციის პირობებში განსაკუთრებით აქტუალური ხდება სწრაფად განვითარებული დარგების ტერმინოლოგიის კვლევა, რადგან სწორედ ამ სფეროებში ჩნდება ახალი ცნებები, რომელთა აღსანიშნავად საჭიროა შესაბამისი ტერმინოლოგიური ერთეულების შექმნა და დამკვიდრება.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება თანამედროვე ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის კვლევას. კვლევის ობიექტს წარმოადგენს საბურღი, გეოლოგიური, სამთო და ტექნიკური ტერმინოლოგია, რომლებიც გამოირჩევა როგორც მაღალი სპეციალიზაციით, ისე უცხოური ენობრივი გავლენების სიჭარბით. ნაშრომის მიზანია ინგლისური და ქართული ტერმინების შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე გამოავლინოს ტერმინთშემოქმედების ძირითადი მეთოდები, განსაზღვროს ტერმინთა წარმოშობის წყაროები, აღწეროს მათი სტრუქტურული და სემანტიკური თავისებურებები და შეაფასოს თანამედროვე ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის განვითარების ტენდენციები.

კვლევის მასალა შეირჩა გეოლოგებისა და საბურღი სამუშაოების სპეციალისტების მიერ მოწოდებული სათადარიგო ნაწილების კატალოგებიდან, ტექნიკური დოკუმენტაციიდან და დარგობრივი მასალებიდან. კვლევის პროცესში გამოყენებულია ტერმინთა სამენოვანი შეპირისპირებითი ანალიზის მეთოდი. ქართული ტერმინები შედარებულია მათ ინგლისურ და, საჭიროების შემთხვევაში, რუსულ ეკვივალენტებთან. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ტერმინისა და ცნების ურთიერთმიმართებას, ტერმინის მოტივაციის საკითხს და იმ მექანიზმებს, რომელთა მეშვეობითაც ხდება ახალი ტერმინოლოგიური ერთეულების შექმნა ქართულ ენაში.

ნაშრომის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ტერმინოლოგიური კვლევის პროცესში. ხელოვნური ინტელექტი კვლევის სხვადასხვა ეტაპზე გამოიყენებოდა როგორც დამხმარე ინსტრუმენტი. მისი საშუალებით შესაძლებელი გახდა ტექნიკური ტერმინების შინაარსის დაზუსტება, ფუნქციური და სტრუქტურული მახასიათებლების გამოყოფა, ასევე ტერმინის მოტივაციისა და სახელდების საფუძვლის ანალიზი. ასევე საინტერესო აღმოჩნდა AI-ის უნარი გამოევლინა ბარბარიზმების სახით დამკვიდრებული ტერმინები. აღნიშნული მონაცემები შემდგომ მოწმდებოდა სპეციალიზებული ლექსიკოგრაფიული რესურსებისა და დარგობრივი წყაროების საფუძველზე, რაც კვლევის სანდოობასა და მეცნიერულ საფუძვლიანობას ზრდიდა.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ თანამედროვე ქართული ტექნიკური ტერმინოლოგია ვითარდება როგორც ქართული ენის შიდა რესურსების, ისე საერთაშორისო ტერმინოლოგიური გავლენების ურთიერთქმედების შედეგად. ერთი მხრივ, ქართული ენა კვლავ ინარჩუნებს უნარს საკუთარი რესურსების გამოყენებით შექმნას ახალი ტერმინები, ხოლო მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად იზრდება უცხო სიტყვების, კალკებისა და ანალიტიკური ტერმინების რაოდენობა. აღნიშნული ტენდენციები ასახავს თანამედროვე ტერმინოლოგიის განვითარების ზოგად მიმართულებებს და ადასტურებს, რომ ქართული ტერმინოლოგიური სისტემა აქტიურად ეხმიანება გლობალურ სამეცნიერო და ტექნოლოგიურ პროცესებს.

საკვანძო სიტყვები: ტერმინოლოგია, ტექნიკური ტერმინოლოგია, გეოლოგია, ბურღვითი სამუშაოები, ტერმინთშემოქმედება, ბარბარიზმები, კალკები, უცხო სიტყვები, ანალიტიკური ტერმინები, ხელოვნური ინტელექტი.

Abstract

The terminological system reflects not only the level of development of a particular field but also plays an important role in the process of scientific and professional communication. In the modern world, amid technological progress, international cooperation, and globalisation, the study of the terminology of rapidly developing fields is especially relevant, as it is in these fields that new concepts emerge, for which it is necessary to create and establish appropriate terminological units.

The study of contemporary Georgian technical terminology is the focus of this master's thesis. The study's focus is on drilling, geological, mining, and technical terminology, all of which are characterized by a high degree of specialization and a profusion of foreign language influences. Based on a comparison of English and Georgian terms, the work aims to identify the primary methods of term creation, ascertain the origins of terms, describe their structural and semantic characteristics, and evaluate the development trends of contemporary Georgian technical terminology.

The research material was selected from spare parts catalogs, technical documentation and industry materials provided by geologists and drilling specialists. The method of trilingual comparative analysis of terms was used in the research process. Georgian terms were compared with their English and, if necessary, Russian equivalents. Special attention was paid to the relationship between the term and the concept, the issue of term motivation and the mechanisms through which new terminological units are created in the Georgian language.

One of the important aspects of the work is the use of artificial intelligence in the process of terminological research. Artificial intelligence was used as an auxiliary tool at various stages of the research. It made it possible to clarify the content of technical terms, identify functional and structural features, as well as analyze the motivation of the term and the basis of its designations. Also interesting was the ability of AI to identify terms established as barbarisms. The above data was subsequently verified on the basis of specialized lexicographic resources and field sources, which increased the reliability and scientific soundness of the research.

The results of the research demonstrate that modern Georgian technical terminology develops as a result of the interaction of both the internal resources of the Georgian language and international terminological influences. On the one hand, the Georgian language still retains the ability to create new terms using its own resources, and on the other hand, the number of borrowings, calques and analytical terms is significantly increasing. The above-mentioned trends reflect the general directions of the development of modern terminology and confirm that the Georgian terminological system actively responds to global scientific and technological processes.

Keywords: terminology, technical terminology, geology, drilling, term creation, barbarisms, calques, foreign words, analytical terms, artificial intelligence.